ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №9
2024 წლის 28 მარტი

ქ. ხობი

„ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის პროფესიული საჯარო მოხელის თანამდებობის რანგირების, თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრისა და საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის №18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ნორმატიული აქტების შესახებ“ მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

„ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის პროფესიული საჯარო მოხელის თანამდებობის რანგირების, თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრისა და საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის №18 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 30/12/2021 წ., სახელმწიფო სარეგისტრაციო კოდი: 010250050.35.106.016373) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული დანართი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დანართი

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის პროფესიული საჯარო მოხელის თანამდებობათა რანგირება, თანამდებობრივი სარგო და საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხა

N	რანგირება	თანამდებობათა დასახელება	რაოდენობა	თანამდებობრივი სარგოს ოდენობა (ლარი)
1.	საკრებულოს თანამდებობის პირი	საკრებულოს თავმჯდომარე	1	5457
2.	საკრებულოს თანამდებობის პირი	საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე	1	4126
3.	საკრებულოს თანამდებობის პირი	საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე	2	3593
4.	საკრებულოს თანამდებობის პირი	საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე	5	2928
5.	საკრებულოს თანამდებობის პირი	საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარე		2662
6.	საკრებულოს თანამდებობის პირი	საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე		2130
ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატი				
1.	I რანგი	პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი – საკრებულოს აპარატის უფროსი	1	3059

2.	I I რანგი	მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი – საკრებულოს აპარატის განყოფილების უფროსი	3	2394
3.	I I I რანგი	პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	6	1729
4.	I I I რანგი	მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	1	1330
5.	I I I რანგი	მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	1	1197
ჯამი			**12**	

“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს 2024 წლის 1 მაისიდან.

ხობის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **ლევან ქავთარაძე**